# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №97

## 2004 წლის 29 ოქტომბერი

## ქ. თბილისი

## ქონების პრივატიზაციითა და იჯარით მიღებული სახსრების ბიუჯეტებს შორის განაწილების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პუნქტის საფუძველზე „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელების მიზნით:

1. ქონების პრივატიზაციითა და იჯარით მიღებული სახსრები, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლებში ჩარიცხვას, განაწილდეს შემდეგი თანაფარდობით:

| ქონება<br>დაქვემდებარების მიხედვით | პრივატიზაციითა და იჯარით მიღებული სახსრების განაწილება<br>(პროცენტობით) | |
|---|---|---|
| | სახელმწიფო ბიუჯეტი | საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები |
| პრივატიზებული ქონება | | |
| საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონება | 100 | |
| საქართველოს სახელმწიფო ქონება | 65 | 35 |
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის გამგებლობაში გადაცემული ქონება | | 100 |
| იჯარით გაცემული ქონება | | |
| საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონება | 100 | |
| საქართველოს სახელმწიფო ქონება, კერძოდ, სახელმწიფო მიწა და მიწასთან მყარად დაკავშირებული ქონება | 65 | 35 |
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის გამგებლობაში გადაცემული ქონება და მიწა | | 100 |

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (კ. ბენდუქიძე) ერთ თვეში დაადგინოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და სახელმწიფო ქონების ნუსხა.

**პრემიერ-მინისტრი ზ. ჟვანია**